

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №17

ქ. თბილისი

13.04.2018

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურუდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარე);
ნინო ჩანადირი - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მაგისტრანტი (საბჭოს მდივანი);
თეო ურუშაძე - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის დეკანი, პროფესორი;
სოფიკო ლომჯანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული დეპარტამენტის განათლების სკოლის ხელმძღვანელი;
გიორგი ქვარცხავა - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
გელა გელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ელფეთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი;
დიმიტრი ჯაფარიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე.;
ირინე გოცირიძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
პაატა ბრეკაშვილი - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ კავკასიის ბიზნესის სკოლის სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დეპარტამენტის დირექტორი;
გიორგი თურქია - ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი პროფესორი;
ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
ლევან გორდუზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის გამგეობის წევრი;
ოლია ვოტ - შპს „პოლიტიკის და მართვის კონსალტინგ ჯგუფ - PMCG-ის ხარისხის მართვისა და შიდა ინტეგრაციის მენეჯერი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;
ნინო გაგელიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები :

ნინო ღაღანიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ანა კლდიაშვილი - რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

რუსუდან ერისთავი - მედიახელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი, მედიახელოვნების დოქტორი;

კახა ტრაპაძე - კანცლერი;

გიორგი შენგელია - მედიახელოვნების ფაკულტეტის დეკანი;

ნინო ჭოდოშვილი - რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის დეკანი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:

დავით ხოშტარია;

ნინო სილაგაძე;

თამარ ვეფხვაძე;

ნინო გუნია-კუზნეცოვა;

მარიკა გარსევანიშვილი;

ირმა დოლიძე;

ნინო ჩიქოვანი;

ანა სამსონაძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:38 საათზე.

სხდომას ესწრებოდა საბჭოს 14 წევრი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა.

თავჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-5 შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27⁵ მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის კონსერვაცია და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ციფრული და გეომეტრიული მოდელირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სახელოვნებათმცოდნეო კვლევების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის კულტურის კვლევების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

თავჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

შუამდგომლობა წარმოდგენილი არ იქნა. თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი დღის წესრიგი.

დღის წესრიგი ერთხმად იქნა დამტკიცებული საბჭოს წევრების მიერ.

1. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის კონსერვაცია და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კონსერვაცია და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა
განათლების საფეხური	სადოქტორო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	რესტავრაცია/კონსერვაციის დოქტორი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180

თავჯდომარემ მიმართა უნივერსიტეტის წარმომადგენლებსა და ექსპერტებს, ხომ არ სურდათ განცხადების გაკეთება ან ხომ არ ჰქონდათ აცილება საბჭოს შემადგენლობის მიმართ. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აუცილებელი არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციების შესახებ.

ექსპერტმა აღნიშნა დადებითი დამოკიდებულება პროგრამის მიმართ და განაცხადა, რომ არსებობდა ორი ძირითადი რეკომენდაცია რომელიც მიეკუთვნებოდა ერთ კატეგორიას - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება. პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა წარმოდგენდა ერთადერთ პუნქტს, რომელიც ნაწილობრივ შესაბამისობაში იყო სტანდარტებთან. ერთი რეკომენდაცია ეხებოდა პროგრამაზე მიღების წინაპირობების ხელმისაწვდომობას, რათა დოქტორანტებს მეტი ინფორმაცია ჰქონოდათ აღნიშნულის შესახებ. ხოლო მეორე რეკომენდაცია ეხებოდა სტუდენტების ინფორმირებულობის ხარისხის გაზრდას მათი ცოდნის შეფასებასთან დაკავშირებით და აღნიშნულის დეტალურად გაწერას სილაბუსებში. აღსანიშნავი იყო, რომ დაწესებულებამ ორივე შემთხვევაში რეკომენდაციები გაითვალისწინა და ხარვეზები ამ ეტაპზე უკვე გამოსწორებული იყო. ხაზგასასმელი იყო დაწესებულების კარგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რაც მნიშვნელოვანი იყო თავად დაწესებულების სპეციფიკიდან გამომდინარე. ამასთანავე მან ხაზი გაუსვა დაწესებულების პერსონალის კავშირებს უცხოურ უნივერსიტეტებთან და მზაობას ამ კავშირებში სტუდენტების ჩართვისა. კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი პრაქტიკულად 100% იყო, რაც მნიშვნელოვანი იყო იმდენად, რამდენადაც დარგის სპეციალისტებზე არსებობდა მოთხოვნა და პროფესიონალი კადრები მარტივად საქმდებოდნენ.

თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რა იგულისხმებოდა რეკომენდაციაში, მიღების წინაპირობების მისაწვდომობასთან დაკავშირებით და გულისხმობდა თუ არა ეს მხოლოდ ინფორმირებულობის ნაწილს.

ექსპერტმა განმარტა, რომ ინფორმაცია არ იყო გამოქვეყნებული ვებ გვერდზე და რეკომენდაცია გამოიწვია სწორედ დოქტორანტების ინფორმირებულობის ხარისხის გაზრდის საჭიროებამ.

თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რეკომენდაციების ნაწილი პრაქტიკულად გამოსწორებული იყო დაწესებულების მიერ. რაც შეეხებოდა დოქტორანტთა ინფორმირებულობას მიღების წინაპირობების შესახებ, თავდაპირველ ინფორმაციას აკლდა კრიტერიუმების მითითება, რაც მოგვიანებით ასახულ იქნა ვებ გვერდზე. სილაბუსებთან დაკავშირებული ხარვეზი გამოსწორებულ იქნა და ზოგიერთ სილაბუსებში არსებული 4-იანი ბიჯი შეფასების კრიტერიუმებში ჩანაცვლებულ იქნა 3 და 2-იანი ბიჯებით. დაწესებულება გარკვეულ ინვესტიციას დებდა რომ დოქტორანტებს სადოქტოროს დაცვის შემდეგ შესაძლებლობა ჰქონოდათ გამოქვეყნებინათ სამეცნიერო ნაშრომი. იმ შემთხვევაში, თუ კვლევა ხორციელდებოდა რაიმე პროექტის ფარგლებში ხარჯებს შესაბამისი ფონდი

ანაზღაურებდა. ყველა დისერტაცია, რომელიც დაცული იყო ამ სფეროში გამოიცემოდა წიგნის სახით.

საბჭოს წევრი, გიორგი ქვარცხავა დაინტერესდა, იყო თუ არა იგივე დისერტაციები გამოქვეყნებული ვებ გვერდზე.

წარმომადგენელმა უპასუხა, რომ წიგნად გამოცემული დისერტაციების ნაწილი ქვეყნდებოდა ვებ გვერდზეც.

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა იკითხა სულ რამდენი სადოქტორო ნაშრომი იყო დაცული.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაცული იყო 5 სადოქტორო ნაშრომი, 2009 წლიდან.

საბჭოს წევრი, ნათელა სახოკია დაინტერესდა მუშაობდა თუ არა დაწესებულება ხელნაწერების რესტავრაციაზე.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხზე მუშაობას დაწყებას აპირებდნენ უახლოეს მომავალში, სტუდენტები გაგზავნილნი იყვნენ ფლორენციაში და როდესაც დაგროვდებოდა საკმარისი ცოდნა, მუშაობა დაიწყებოდა.

საბჭოს წევრი, გელა გელაშვილი დაინტერესდა რამდენი დოქტორანტი ჰყავდა პროგრამას ამ ეტაპზე.

წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ამ ეტაპზე პროგრამას 7 დოქტორანტი ჰყავდა. საქართველოში პროგრამა გახლდათ ინოვაციური და უცხოელების მხრიდან არსებობდა მოთხოვნა.

საბჭოს წევრმა, გიორგი ქვარცხავამ იკითხა, რამდენი უცხოელი სწავლობდა პროგრამაზე.

წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ამ ეტაპზე უცხოელი დოქტორანტები პროგრამას არ ჰყავდა.

საბჭოს წევრი, გელა გელაშვილი დაინტერესდა, ხდებოდა თუ არა სოკოთი დაავადებული ხელნაწერების კვლევა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ერთ-ერთი კვლევა ბიოლოგიური კუთხით სწორედ ამ საკითხს მოიცავდა და კვლევა ტარდებოდა შესაბამის ლაბორატორიაში. ნახსენები იქნა ვარძიის ხანძრის დროს ჩატარებული სამუშაოები და აღინიშნა, რომ ჩარევა მოხდა დროულად, რამაც კულტურული მემკვიდრეობა ფატალური შედეგის დადგომისაგან გადაარჩინა.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჯანიძემ განაცხადა, რომ პროგრამაში არსებობდა სამი კურსი განათლების მეცნიერებიდან - მენეჯმენტი, სწავლების მეთოდები და პრაქტიკა. ის დაინტერესდა რამ გამოიწვია სამი კურსის გაჩენა პროგრამაში აბსოლუტურად სხვა დარგიდან, მაშინ როდესაც კონსერვაციის შესახებ მხოლოდ ერთი საგანი იყო.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამის მიზნებში ეწერა, რომ მიზანს წარმოადგენდა პედაგოგის გაზრდაც, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო დარგში კვალიფიციური კადრების დეფიციტის ფონზე.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჯანიძემ აღნიშნა, რომ სამი სხვადასხვა კურსის არსებობა გაურკვევლობას იწვევდა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პედაგოგიკის მეთოდების სწავლება ხდებოდა სხვადასხვა რაკურსიდან. დაწესებულებაში ისწავლებოდა ორიგინალური სილაბუსების შექმნა დარგში და აღნიშნულის სწავლების საჭიროება დასტურდებოდა, გამოკითხვებით, რომლებსაც დაწესებულება დოქტორანტებთან ატარებდა. დოქტორანტების მიერ შექმნილი

სილაბუსები იმდენად საინტერესო იყო, რომ მომავალში მათი მიხედვით სწავლება არ გამოირიცხებოდა.

საბჭოს წევრმა ირინე გოცირიძემ დაინტერესდა, რადგან სადოქტორო ნაშრომს ჰქონდა ცალკე კრედიტები გამოყოფილი სემესტრების მიხედვით, რა კრიტერიუმებით ხორციელდებოდა ამ კრედიტების შეფასება.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სადოქტორო ფასდებოდა 100 ქულით, ხოლო აღნიშნული კრედიტების დანაწილება გამომდინარეობდა სემინარების არსებობით და კვლევის კომპონენტით.

საბჭოს წევრმა, ირინე გოცირიძემ თქვა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან არ იყო გამჭვირვალე ამ კრედიტების შეფასების კრიტერიუმები.

წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ინფორმაცია მოცემული იყო დანართებში, რომელიც ცალკე დოკუმენტს წარმოადგენდა.

საბჭოს წევრმა, ნატო გენგიურმა განაცხადა რომ ის იცნობდა პროგრამაში ჩართულ პერსონალს და შეიძლებოდა იმის თქმა, რომ პროგრამა სანდო ხელში იყო და ამ კუთხით მის მდგრადობას საფრთხე არ ემუქრებოდა. რაც შეეხებოდა პროგრამის აგებულებას, ზოგიერთი საკითხები საჭიროებდა დაზუსტებას. კერძოდ, სამეცნიერო კომპონენტის 120 კრედიტს, რომელშიც, აკადემიის მიერ წარმოდგენილ ყველა სადოქტორო პროგრამაში, შედის კოლოქვიუმის კრედიტები და დისერტაციის კრედიტები. ახალი რეგულაციების ფონზე, რომლის მიხედვითაც სამეცნიერო კომპონენტი ფასდება ერთჯერადად, თითქოს იქმნებოდა ვითარება, რომ დოქტორანტის სამეცნიერო მუშაობა მიმდინარეობს ცალკე, დარგის პროფესურასთან მისი კვლევის მსვლელობის განხილვის გარეშე, თითქოს ის იყო მიტოვებული და უნივერსიტეტებს აქვთ სურვილი კოლოქვიუმების საშუალებით ეს პროცესი დაარეგულირონ. საქმე ისაა, რომ ბრძანება არ კრძალავს სამეცნიერო კომპონენტის ცალკე გამოყოფას, თუმცა ამ შემთხვევაში რადგან კრედიტი ენიჭებოდა სამეცნიერო კომპონენტს, იყო მოთხოვნა, აღიწეროს მისი მიზნები, შედეგები, მითითებულ იქნას ამ კომპონენტის ხელმძღვანელი პროფესორი და ა.შ. მან თქვა, რომ გაეცნო სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს, კერძოდ კოლოქვიუმის აღწერილობას, რომელსაც ჰქონდა მხოლოდ შეფასების კრიტერიუმები, კრიტერიუმები საკმაოდ გონივრულად იყო გაწერილი. თუმცა არსებობდა მეორე პრობლემა, არ იყო მითითებული ზემოაღნიშნული მომენტები. ამდენად, საჭირო იყო კოლოქვიუმის აღწერილობაში დეტალურად გაწერა დაწესებულებას დასაბუთება იმისა, თუ რა მიზანები, შედეგები აქვს ამ კომპონენტს, ვინ იქნებოდა პასუხისმგებელი მის მუშაობაზე და ა.შ.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კოლოქვიუმი დამატებითი ცოდნის წყაროდაც შეიძლებოდა მოაზრებულიყო, რადგან დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე დოქტორანტებს უწევდათ კვლევისათვის დამატებითი მასალის მოძიება, რომელიც თავისმხრივ შესაძლოა შესწავლილი არ ყოფილიყო და რომლის გატანაც კოლოქვიუმზე შეზღუდული არ იყო. კოლოქვიუმი ფაქტობრივად წარმოადგენდა ცალკე კვლევას და ახალი ცოდნის წყაროს.

საბჭოს წევრმა, ნატო გენგიურმა განაცხადა, რომ კოლოქვიუმთან დაკავშირებით საუბარი იყო არა უარის თქმაზე, არამედ მის დოკუმენტურად გაფორმებაზე.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ იკითხა მხოლოდ აკადემიის კურსდამთავრებულები აბარებდნენ აღნიშნულ პროგრამაზე თუ სხვა დაწესებულების ან დარგების კურსდამთავრებულებიც.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული კუთხით მრავალფეროვნება არსებობდა, მიდიოდნენ ქიმიკოსები და ბიოლოგებიც და შესაბამისი ინტერესის სფეროს მიხედვით მუშაობდნენ.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა, რომ მისი დაკვირვებით სასწავლო კომპონენტში ლიტერატურა იყო საკმაოდ მოძველებული. მაგალითისათვის, საკონსერვაციო კვლევის მეთოდებში ისწავლებოდა 1989 წლის მოსკოვში გამოცემულ სახელმძღვანელო და 2004 წლის ინგლისურენოვანი სახელმძღვანელო. ეს ხაზი შესამჩნევი იყო თითქმის ყველა სილაბუსში. მან იკითხა რით იყო აღნიშნული გამოწვეული და იყო თუ არა ეს კლასიკური ლიტერატურა, რომლის შესწავლაც დოქტორანტს სჭირდებოდა. კითხვის მეორე ნაწილი შეეხებოდა ნაშრომებში გამოყენებულ მასალას, სადაც მაგალითად 2014 წელს დაცულ ნაშრომში გამოყენებული ყველაზე ახალი მასალა 2004 წლის იყო. ის დაინტერესდა, რა იწვევდა ამ ხაზის არსებობას ლიტერატურასთან მიმართებაში.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ არსებობდა კლასიკური ლიტერატურა, რომელიც არ იცვლებოდა. რაც შეეხებოდა კვლევის მეთოდებს, ზოგ შემთხვევაში ხდებოდა ძველი მეთოდების გამოყენება, თუმცა ეს შედეგის დადგომას ხელს არ უშლიდა. ზოგჯერ გამოიყენებოდა ახალი მეთოდიკაც. აღნიშნული მთლიანად იყო დამოკიდებული იმაზე, თუ რისი კვლევა ხდებოდა. თუ თემის კვლევას დაწესებულება ვერ უზრუნველყოდა ტექნიკურ-მატერიალური ბაზით ის მას ხელს არ ჰკიდებდა. რაც შეეხებოდა ზოგადად სფეროში კვლევის მეთოდებს, ამ კუთხით დარგში დინამიკა სწრაფი არ იყო.

საბჭოს წევრი, ირინე გოცირიძე დაინტერესდა ეცნობოდნენ თუ არა სტუდენტები კვლევის თანამედროვე მეთოდებს, რადგან ექსპონატების შინაგანი სტრუქტურის შეფასებისთვის აუცილებელია რადიოგრაფიული, გამოსახულებების ვიზუალიზაციის და დიგიტალიზაციის, კომპიუტერიზებული ანალიზის მეთოდების და ტექნოლოგიების დაუფლება, რადგან თანამედროვე კვლევის ჩატარება შეუძლებელია ამ ტექნიკის და ტექნოლოგიების ცოდნის გარეშე.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სტუდენტები მეთოდებს ეცნობოდნენ, თუმცა ყოველთვის ვერ იყენებდნენ საკუთარ კვლევებში. მოცემულ სფეროში დაწესებულების ლაბორატორია ერთადერთი იყო საქართველოში. თუ ბაზა კვლევის მოთხოვნებს არ აკმაყოფილებდა მასალის გაგზავნა ხდებოდა საზღვარგარეთ.

საბჭოს წევრი გიორგი ქვარცხავა დაინტერესდა, თუ რა ტიპის მასალა იგზავნებოდა საზღვარგარეთ.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ძირითადად იგზავნებოდა კვლევები, რომლებიც ეხებოდა ორგანულ მასალას.

თავჯდომარე დაინტერესდა, რატომ იყო საბჭოსათვის წარდგენილ 4 დისერტაციაში სხვადასხვა ციტირების სტილი.

ექსპერტის განცხადებით, სავარაუდოდ აღნიშნული გარემოება გამოწვეული იყო იმით, რომ მართალია წიგნი 2014 წელს იყო დაბეჭდილი, თუმცა დისერტაცია ძველი იყო და სტილის შეცვლა არ მომხდარა ბეჭდვის დროს.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის კონსერვაცია და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3¹ პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^ა მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 27^ბ მუხლის პირველი და მეორე პუნქტების შესაბამისად, სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის კონსერვაცია და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პროგრამას აკრედიტაცია ენიჭებოდა 9 თვიანი მონიტორინგის პირობით, რაც იმას გულისხმობდა, რომ ცენტრს 9 თვის განმავლობაში მონიტორინგის გზით უნდა გადაემოწმებინა საბჭოს და ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინება.

საბჭოს რეკომენდაციები:

- სილაბუსების ლიტერატურის განახლება: საუკეთესო პრაქტიკის გამოყენების მიზნით, სასურველი იყო მომხდარიყო მათი დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან/სილაბუსებთან;
- სამეცნიერო კომპონენტის - ქოლოქვიუმის აღწერილობის არსებულ პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანა (ეხება ყველა პროგრამას);
- ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინება;
- პროგრამაში წარმოდგენილი პედაგოგიური მიმართულების სამი სავალდებულო კურსის თემების აკუმულირება მაქსიმუმ ორ კურსში და გამოონთავისუფლებული კრედიტების დამატება ან კვლევითი კომპონენტისთვის, ან სპეციალიზაციის სასწავლო კურსისთვის.

2. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ციფრული და გეომეტრიული მოდელირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ციფრული და გეომეტრიული მოდელირება
განათლების საფეხური	სადოქტორო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	მედიახელოვნების დოქტორი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180

თავმჯდომარემ მიმართა უნივერსიტეტის წარმომადგენლებსა და ექსპერტებს, ხომ არ სურდათ განცხადების გაკეთება ან ხომ არ ჰქონდათ აცილება საბჭოს შემადგენლობის მიმართ. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციების შესახებ.

ექსპერტმა მოკლედ ისაუბრა სამხატვრო აკადემიაში ვიზიტის შესახებ. მან აღნიშნა, რომ პროგრამის წინა აკრედიტაციის დროს ის იყო ექსპერტთა ჯგუფის წევრი, შესაბამისად აკრედიტაციიდან რეაკრედიტაციამდე მას საშუალება ჰქონდა შეეფასებინა პროგრამის განვითარება. ექსპერტის განცხადებით პროგრამა იყო ბაზარზე ერთადერთი და მუშაობდა წარმატებით. არსებობდა რჩევები ნაცვლად რეკომენდაციებისა, რადგან იმ შემთხვევაშიც კი თუ პროგრამა არ გაითვალისწინებდა რჩევებს, ეს ხელს არ შეუშლიდა გასულიყო შედეგზე. როდესაც პროგრამა აკრედიტებულ იქნა, არსებობდა მოლოდინები მისაღებ კონტიგენტთან მიმართებაში, მას შემდეგ რაც მიღებულ იქნა კონტიგენტი, მათ შეძლეს შედეგზე გასვლა. დაცულ იქნა სამი დისერტაცია და კურსდამთავრებულები წარმატებით დასაქმდნენ. მან განაცხადა, რომ პირველი რჩევა ეხებოდა პროგრამაზე მიღების წინაპირობების დაკონკრეტებას. კერძოდ, უმჯობესი იქნებოდა განსაზღვრულიყო რა კვალიფიკაციის მქონე

კანდიდატების მიღება მოხდებოდა პროგრამაზე. გაზრდილი მოთხოვნის ფონზე პროგრამა მიმზიდველი გახდა როგორც ჰუმანიტარული ასევე სოციალური მეცნიერებების და ტექნიკური დარგების კურსდამთავრებულთათვის.მათთვის, ვისაც არ ექნებოდა შესაბამისი კვალიფიკაცია მიზანშეწონილი იყო დამატებით გამოცდის ჩაბარება. 2013 წლის შემდეგ პროგრამაზე დამატებულ იქნა დარგობრივი კურსები. მოცემულ შემთხვევაშიც საჭირო იქნებოდა კურსებზე დაშვების წინაპირობების დამატება ან გამკაცრება, სასურველი იქნებოდა მათი სწავლა წარსულში ჰუმანიტარული მიმართულების სტუდენტებისათვის სავალდებულოდ განსაზღვრულიყო. დაწესებულებისა და პროგრამის საუკეთესო პრაქტიკას წარმოადგენდა თანადაფინანსების მოდელი, რომელიც უზრუნველყოფდა დაწესებულების თანამონაწილეობას დოქტორანტთა დისერტაციების გამოქვეყნებაში. ამასთანავე, ხაზი უნდა გასმოდოდა იმ მოცემულობას, რომ დოქტორანტების გადასახადი წარმოდგენილი იყო მხოლოდ სასწავლო კომპონენტის საფასურით.

საბჭოს წევრი, გელა გელაშვილი დაინტერესდა სუბიექტურობით იყო თუ არა გამოწვეული ის გარემოება, რომ იმავე დაწესებულების “კონსერვაცია და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის” ხარვეზები, რომლებიც “ციფრული და გეომეტრიული მოდელირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის” ხარვეზების თითქმის იდენტური იყო აისახა რეკომენდაციებში, ხოლო ამ უკანასკნელი პროგრამისა - რჩევებში.

ექსპერტმა განაცხადა, რომ აღნიშნულზე ექსპერტებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმაც მიუთითა, თუმცა მათ გადაწყვიტეს შენიშვნები დაეტოვებინათ რჩევების და არა რეკომენდაციების სახით, რადგან პროგრამა მათი გამოსწორების გარეშეც ახერხებდა შედეგზე გასვლას.

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა იკითხა, ხომ არ ჰქონდათ დაწესებულების წარმომადგენლებს თან დისერტაციები ნაბეჭდი სახით, მსგავსად “კონსერვაცია და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისა”.

წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ამ შემთხვევაში დისერტაციები ნაბეჭდი სახით თან არ ჰქონდათ.

საბჭოს წევრი, ნათელა სახოკია დაინტერესდა რა წარმომადგენდა ბოლო დასაცავი დისერტაციის თემას.

თავმდჯომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა საბჭოს წევრს განუცხადა, რომ თემა იყო ციფრული და გეომეტრიული მოდელირება. მან თქვა, რომ პროგრამა იყო ინოვაციური და ჰომოგენურად ასრულებდა იმ ცოდნას რასაც იგივე პროგრამა იძლეოდა საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურებზე. რადგანაც დარგი გაიშალა და გახდა მეტად ინტერდისციპლინარული, პროგრამამაც შეითვისა მოდელირების ნაწილი.. ბოლო მოდელირების პროექტს წარმოადგენდა 3D მაქსში მოდელირება. ამასთანავე არსებობდა შეთავაზება ფლორენციიდან, გაკეთებულიყო ე.წ Joint Degree აღნიშნულ პროგრამაში, რაც მოხდებოდა მას შემდეგ რაც შეიკრიბებოდა კვალიფიციური ინგლისურის მცოდნე პროფესორის გუნდი.

საბჭოს წევრი, გიორგი ქვარცხავა დაინტერესდა, რა კვალიფიკაციაზე გავიდოდა ე.წ Joint Degree პროგრამის კურსდამთავრებული.

წარმომადგენელმა უპასუხა, რომ კვალიფიკაცია იქნებოდა მედია ხელოვნების დოქტორი. ერთ-ერთი დისერტაცია, რომელიც შეეხებოდა ვიზუალურ გამოსახულებაში ეთნიკური და ნაციონალური ტენდენციების გამოყენებას, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა

გლობალურ სივრცეში ნაციონალური იდენტობის მატარებელი ვიზუალური გამოსახულებების იდენტიფიცირება.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ იკითხა არსებობდა თუ არა პროგრამაზე მიღების წინაპირობები.

წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მიღების წინაპირობაში ყველა შემთხვევაში იგულისხმებოდა გასაუბრება, რომლის დროსაც გამოიკვეთებოდა გეომეტრიის საბაზისო ცოდნა. თუმცა დაწესებულება ეთანხმებოდა ექსპერტთა რჩევას გაღრმავებულიყო მიღების კრიტერიუმები, რადგან ყველა კომპეტენციის 3 წლის მანძილზე გამომუშავება რთული იქნებოდა.

ექსპერტმა დაამატა, რომ ხელოვნების დარგობრივი სტანდარტი ჯერ არ არსებობდა, თუმცა არსებობდა დოკუმენტი, სადაც ორი პროფილი იკვეთებოდა - დარგის კვლევა და დარგის განვითარება. ხელოვნების დოქტორი ორიენტირებული იყო პრაქტიკაზე და გულისხმობდა გამოყენებით კვლევებს, ხოლო "Art Sciences", რომელიც ჰუმანიტარული მეცნიერებების კვლევის მეთოდებს იყენებდა და რჩებოდა ამ მიმართულების სპეციფიკაში. ამ შემთხვევაში, მედია ხელოვნების ფაკულტეტის ნიშა პრაქტიკაზე ორიენტირებული კვლევები იყო, რომელიც ნაკლებად კლასიფიცირდებოდა როგორც სამეცნიერო კვლევა.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა თქვა, რომ აღნიშნულ პრაქტიკას ქართული კანონმდებლობა არ მისდევდა.

ექსპერტის თქმით ამჟამად კანონმდებლობა აღნიშნულ პრაქტიკას არ ითვალისწინებდა, თუმცა სწორება შესაძლებელი იყო მომავალზე.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა უპასუხა, რომ განხილვის დროს მომავალი ვარაუდები მხედველობაში მისაღები ვერ გახდებოდა. ასევე ძველი ლიტერატურის პრობლემა სილაბუსებში თვალშისაცემი იყო. მაგალითისათვის, გეომეტრიული მოდელირების კვლევის თანამედროვე მეთოდებში ყველაზე ახალი ლიტერატურა 2002 წლის იყო, ხოლო ძირითად მასალას წარმოადგენდა 1980-იან წლებში გამოცემული ლიტერატურა. შესაბამისად, იქნებოდა განცდა, რომ საგნის მიზანი აღნიშნული ლიტერატურით მიღწეული ვერ იქნებოდა. ამასთანავე, გეომეტრიულ საგანში, სადაც ისწავლებოდა პროგრამები ძირითად ლიტერატურად მითითებული იყო Youtube, რაც აკადემიურ სტანდარტს არ აკმაყოფილებდა.

წარმომადგენელი დაეთანხმა საბჭოს წევრს და მიიღო შენიშვნა, ხოლო Youtube - ის მითითება წყაროდ ახსნა იმ გარემოებით, რომ ყველაფრის დეტალური გადამოწმება ყოველთვის ვერ ხერხდებოდა, ამიტომ შესაძლოა შეცდომა შემთხვევით გამორჩენილიყო.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ დაწესებულების წარმომადგენლებს ურჩია, რომ შეეცვალათ პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც ფასდებოდა დასწრების კომპონენტი, რადგან ეს კანონითაც არ იყო მისაღები. შემოღებულიყო მაგალითისათვის აქტივობის კომპონენტი, ნაცვლად დასწრებისა.

წარმომადგენელმა საბჭოს წევრს უპასუხა რომ აღნიშნულს მიიღებდნენ როგორც რჩევას. დასწრება პროგრამაზე მნიშვნელოვანი იყო მისი სპეციფიკიდან გამომდინარე.

ექსპერტმა გამოთქვა სურვილი დაეფიქსირებინა აზრი პროგრამასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ მისი აზრით პროგრამა სათუთად იყო განსავითარებელი, რადგან სადოქტორო პროგრამებს შორის ცოტა იყო პროგრამა, რომელიც აერთიანებდა შემოქმედებით და ტექნიკურ მიმართულებებს. პროგრამა მოიცავდა საკმაოდ ფართო სპექტრს და იძლეოდა საშუალებას დარგის კარგი სპეციალისტების გაზრდის. რაც შეეხებოდა რჩევებს, ეს იყო ლოგიკური, რადგან ტექნოლოგიური პროგრესის ფონზე, ყოველი რეაქრედიტაციის დროს ცვლილებები ბუნებრივი საჭიროება ხდებოდა.

16:45 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 17:50 საათზე.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ციფრული და გეომეტრიული მოდელირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 22 მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის 3^ა პუნქტის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^ა მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 27^ბ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ციფრული და გეომეტრიული მოდელირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 9 თვის ვადით მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია.

საბჭოს რეკომენდაციები:

- პროგრამაზე დაშვების წინაპირობების გაწერა ისე, რომ უზრუნველყოს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის და კომპეტენციების მქონე დოქტორანტების მიღება;
- სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის და სხვა სასწავლო მასალის განახლება, მათი დარგის აქტუალურ მიდწევებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით;
- სილაბუსებში დასწრების კომპონენტის შეცვლა ისეთი ტერმინით, რომელიც მეტად ასახავს სტუდენტის იმ აქტივობას საკონტაქტო საათებისას, რომელშიც ქულას იღებს (მაგ. აქტივობა, დასწრება-აქტივობა ან სხვა) და კომპონენტის შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად გაწერა;
- სამეცნიერო კომპონენტის - ქოლოქვიუმის აღწერილობის არსებულ პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანა.

18:00 საათზე სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა ნათელა სახოკიამ.

3. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სახელოვნებათმცოდნეო კვლევების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სახელოვნებათმცოდნეო კვლევები. პროგრამული კონცენტრაციები: შუა საუკუნეების ხელოვნება, ახალი და უახლესი ქართული ხელოვნება.
განათლების საფეხური	სადოქტორო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180

თავმჯდომარემ მიმართა უნივერსიტეტის წარმომადგენლებსა და ექსპერტებს, ხომ არ სურდათ განცხადების გაკეთება ან ხომ არ ჰქონდათ აცილება საბჭოს შემადგენლობის მიმართ. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციების შესახებ.

ექსპერტმა ისაუბრა დაწესებულებაში ვიზიტისა და პროგრამის მიზანის შესახებ. მან აღნიშნა, რომ პროგრამაზე ასწავლიდნენ საუკეთესო სპეციალისტები. პროგრამას ჰყავდა 11 დოქტორანტი, რომლებიც უკვე იყვნენ შემდგარი მკვლევარები და ამასთანავე ეწეოდნენ პედაგოგიურ საქმიანობას.

ექსპერტმა განაცხადა, რომ შეფასებები ჩამოყალიბდა რეკომენდაციისა და რამოდენიმე რჩევის სახით. ამ უკანასკნელში იყო რჩევა, რომლის მიხედვითაც სასურველი იქნებოდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფერო ასახულიყო დასაქმების სფეროებში. ამასთანავე, სასურველი იქნებოდა პროგრამაზე ჩაბარების მსურველებისთვის დარგში მუშაობის სტაჟის ნაწილი ნაცვლად 3 წლიანისა, რომელიც შესაძლოა აპლიკანტისათვის ბარიერი გამხდარიყო, განსაზღვრულიყო 1 წლით. გარდა ამისა უმჯობესი იქნებოდა დაკონკრეტებულიყო მიღების პრერეკვიზიტები, კერძოდ დაკონკრეტებულიყო აპლიკანტის სამაგისტრო კვალიფიკაცია. რეკომენდირებული იყო, მომხდარიყო დოკუმენტური ასახვა

ინტერნაციონალიზაციის ნაწილისა იმ ფონზე, როდესაც აკადემია თანამშრომლობდა უცხოურ დაწესებულებებთან, მონაწილეობდა კონფერენციებში და პროცესი არ იყო სტატიკური. ასევე არსებობდა რჩევა ასახულიყო პედაგოგების ხელთ არსებული მასალები ელექტრონულ ბიბლიოთეკაში.

საბჭოს წევრი, გელა გელაშვილი დაინტერესდა, აუცილებელი პირობა იყო თუ არა პროგრამაზე მიღებისათვის 3 წლიანი სამუშაო სტაჟის არსებობა და რამდენად ზუსტად იცავდნენ ამ პირობას.

თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული სტაჟი გულისხმობდა დარგთან მიმართებაში არსებულ პროექტებში მონაწილეობასაც და აუცილებელი არ იყო 3 წლიანი მუდმივი მუშაობა.

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა იკითხა, ხომ არ იქნებოდა ეს მნიშვნელოვანი ბარიერი პროგრამაზე ჩაბარების მსურველისათვის.

წარმომადგენელმა საბჭოს წევრს უპასუხა, რომ ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც აპლიკანტები მაგისტრატურის საფეხურიდან მუშაობდნენ რაც უკვე ითვლებოდა სტაჟში. პრობლემა არსებობდა იმასთან დაკავშირებით, რომ ხშირად დებულებით განსაზღვრულ მუშაობის 3-5 წელს დოქტორანტები არაადეკვატურად იღებდნენ, თუმცა რეალობაში ისინი ხედავდნენ რომ 3 წელში ნაშრომის დასრულებას ვერ ახერხებდნენ, რაც სტატუსის შეჩერების საბაზი ხდებოდა. წინაპირობად 3 წლიანი სტაჟი კი დოქტორანს იმის საშუალებას აძლევდა რომ მას დაახლოებით შეერჩია საკვლევი თემა. მიღების წინაპირობებში გაწერილი იყო მოთხოვნები, რომლებიც მას პროგრამაზე მისვლისას მოეთხოვებოდა.

საბჭოს წევრმა გელა გელაშვილმა განაცხადა, რომ ყველა პროგრამაზე წინაპირობად მაგისტრის ხარისხი საკმარისი იყო. მან იკითხა, ხომ არ იყო ზემოთ აღნიშნული საკითხი გამოწვეული იმით, რომ პროგრამაზე ბევრი მსურველი მიდიდა და ამით ხდებოდა ერთგვარი გაფილტვრა.

წარმომადგენელმა თქვა რომ პროგრამაზე მოსვლის დროს თუ დაწესებულება ვერ დაინახავდა კვლევის მიზანს, დოქტორანტს სთხოვდა მოცდას და საკვლევ საკითხში ჩამოყალიბებას. ამასთანავე ხშირად ჩნდებოდა მასალის მოპოვების პრობლემაც. რაც შეეხებოდა მოთხოვნას, მოთხოვნა საკმარისად დიდი იყო.

საბჭოს წევრი, გიორგი თურქია დაინტერესდა რა პრობლემა არსებობდა ელექტრონულ ბაზებში მასალების ატვირთვისთან დაკავშირებით და იყო თუ არა ეს პრობლემა სპეციფიკური პროგრამისათვის.

წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ელექტრონული რესურსები ხელმისაწვდომი იყო, მხოლოდ და მხოლოდ არ არსებობდა რეგულაცია რომლითაც ბაზა დაწესებულების საკუთრება გახდებოდა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ აღნიშნული საკითხი გახლდათ მარტივად მოგვარებადი იყო.

წარმომადგენელმა რჩევასთან დაკავშირებით, რომელიც პროგრამაზე მიღების წინაპირობის დამატებას ეხებოდა სპეციალობის მოთხოვნით და ტესტირებით განაცხადა, რომ დაწესებულებამ ტესტირება მიზანმიმართულად არ განსაზღვრა წინაპირობად, რადგანაც აპლიკანტები კომისიის წინაშე წარადგენდნენ პრეზენტაციას იმ სფეროზე, რომელზეც სურდათ მუშაობის გაგრძელება, ხდებოდა მასალის და სავარაუდო მეთოდოლოგიის ჩვენება. ტესტირება შეამოწმებდა მხოლოდ ცოდნის კომპონენტს, მაშინ როდესაც აღნიშნული მეთოდი ამოწმებდა ცოდნასაც და კვლევით უნარებსაც. ინტერნაციონალიზაციის ნაწილში ერთიმხრივ

დაბრკოლებას წარმოადგენდა სპეციფიკა, რომლის მმიხედვითაც ხდებოდა ქართული კულტურის გამოვლენა. გარდა ამისა 2008 წლამდე კონტაქტები საზღვარგარეთ არსებობდა, თუმცა 2008 წლის ომმა ეს პროცესი მნიშვნელოვნად უკან დახია. 2011 წლიდან დაიწყო მოლაპარაკებები ბაზელის და მიუნჰენის უნივერსიტეტებთან და ცდილობდნენ გაცვლითი პროგრამების ამუშავებასაც, შესაბამისად ინტერნაციონალიზაციის პროცესი დაწყებული იყო.

ექსპერტმა თქვა, რომ პროგრამა აგებული იყო კარგად და მას ჰქონდა რესურსი დაეინტერესებინა არამხოლოდ ადგილობრივი, არამედ ჩრდილოეთ კავკასიელი სტუდენტებიც.

საბჭოს წევრმა ნატო გენგიურმა იკითხა, რა იყო პროგრამის კონცეფცია სემინარებთან დაკავშირებით, იყო ეს გააზრებული სასწავლო კომპონენტად თუ შეიცავდა კვლევით კომპონენტსაც.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სემინარი წარმოადგენდა სასწავლო კომპონენტს. იქიდან გამომდინარე, რომ სპეციალობაში იყო ფართო თემები, დოქტორანტს შეეძლო საკვლევო ინტერესებიდან გამომდინარე აერჩია თემა. რაც შეეხებოდა ინტერდისციპლინარულ ნაწილს, არჩევანის მეტი თავისუფლების უზრუნველსაყოფად დოქტორანტს საშუალება ჰქონდა თემა აერჩია ნებისმიერი მოქმედი სადოქტორო პროგრამიდან, ინტერესებიდან და მის საკვლევ თემასთან კავშირიდან გამომდინარე.

საბჭოს წევრი ნატო გენგიური დაინტერესდა, ვის ევალუბოდა სემინარის ხელმძღვანელობა და ხდებოდა თუ არა სასემინარო თემისათვის ხელმძღვანელის მხრიდან ლიტერატურის შეთავაზება. თუ ლიტერატურის მოძიება იყო მხოლოდ დოქტორანტის ვალდებულება.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული შესაძლოა ყოფილიყო როგორც სემინარის ხელმძღვანელი ასევე სამეცნიერო ხელმძღვანელი. რაც შეეხებოდა ლიტერატურას, მისი ნაწილის მოძიება ხდებოდა სემინარის ხელმძღვანელის დახმარებით, ხოლო ნაწილის-დოქტორანტის მიერ.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სემინარების არსებობას თავად დოქტორანტები დადებითად აფასებდნენ.

18:45 საათზე სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სახელოვნებათმცოდნეო კვლევების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3¹ პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 27⁶ მუხლის პირველი და მეორე პუნქტების შესაბამისად, სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სახელოვნებო მცოდნეო კვლევების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

3. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის კულტურის კვლევების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კულტურის კვლევები
განათლების საფეხური	სადოქტორო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კულტურის კვლევების დოქტორი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180

თავმჯდომარემ მიმართა უნივერსიტეტის წარმომადგენლებსა და ექსპერტებს, ხომ არ სურდათ განცხადების გაკეთება ან ხომ არ ჰქონდათ აცილება საბჭოს შემადგენლობის მიმართ. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის

დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციების შესახებ.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული და თანამშრომლობა წარმატებით წარიმართა. მან თქვა, რომ კულტურის კვლევები ინტერდისციპლინარულ დარგად ჩამოყალიბდა, რაც ერთიმხრივ ქმნიდა შესაძლებლობებს, ხოლო მეორემხრივ სირთულეებს იმ თვალსაზრისით, რომ დაწესებულებებს სჭირდებოდათ ეპოვნათ საკუთარი ნიშა. ამ თვალსაზრისით, პროგრამას პრობლემა არ გააჩნდა და ემყარებოდა აკადემიაში არსებულ ინტელექტუალურ და მატერიალურ რესურსს, მოძებნილი ჰქონდა კვლევითი ინტერესები. მან განაცხადა, რომ რეკომენდაცია ეხებოდა კულტურის კვლევის მეთოდების სწავლებას, კერძოდ მეტი ადგილის დათმობას კულტურის კვლევებისათვის, მიუხედავად იმისა რომ საგნის ხელმძღვანელი საჭიროდ თვლიდა კულტურის კვლევის თეორიების სწავლებას. სწავლების მეთოდოლოგია და შეფასება ადეკვატური იყო პროგრამის მიზნებისა. ექსპერტმა შეკითხვა სწავლის შედეგებთან დაკავშირებით მდგომარეობდა იმაში, რომ პროგრამას არ ჰქონდა მიღების პრერეკვიზიტები, რასაც თეორიულად შეეძლო რომ პრობლემა გამოეწვია დოქტორანტის შედეგზე გაყვანაში, თუმცა პრაქტიკაში მსგავსი პრობლემა არ შეიჩნეოდა, რადგან მიღებისას მოწმდებოდა დოქტორანტის მზაობა კვლევისათვის. ამ მიდგომის ფარგლებში უკვე დაცული იყო 4 დისერტაცია, რომლებსაც ჰქონდათ პრაქტიკული ორიენტაცია.

საბჭოს წევრი, გელა გელაშვილი დაინტერესდა, აუცილებელი მოთხოვნა იყო თუ არა სამუშაო სტაჟი პროგრამაზე მიღებისათვის.

თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მოცემულ პროგრამაზე მსგავსი წინაპირობა არ არსებობდა.

თავმჯდომარე დაინტერესდა თუ პროგრამას არ ჰქონდა მიღების პრერეკვიზიტები და ამასთანავე მიღებისას აპლიკანტს მოეთხოვებოდა საკვლევ თემასთან ერთად კვლევის მეთოდების წარდგენაც, მაშინ როცა ეს უკანასკნელი უშუალოდ პროგრამაზე ისწავლებოდა, ხომ არ მოდიოდა მოთხოვნა რეალობასთან წინააღმდეგობაში.

ექსპერტმა განაცხადა, რომ დოქტორანტი რომელიც აკეთებდა განაცხადს ირჩევდა ერთ კონცენტრაციას 2-დან და აკეთებდა მონახაზს ინტერესის მიხედვით. შესაძლოა აპლიკანტს წინა საფეხურებზე კულტურის კვლევის მეთოდები ნასწავლი არ ჰქონოდა, მაგრამ იმდენი ცოდნა სჭირდებოდა, რომ დაახლოებით განესაზღვრა ზოგადად კვლევის რა მეთოდოლოგია დასჭირდებოდა. საბჭო კი თავისმხრივ მას დამატებით დაუსვამდა ისეთ შეკითხვებს, რომლითაც განსაზღვრავდა შეძლებდა თუ ვერა პროგრამის მიერ შეთავაზებული კვლევის მეთოდების დამღევას.

წარმომადგენელმა განმარტა, რომ ისინი არ ითხოვდნენ თემის არც ზუსტ სათაურს და არც კონკრეტულ გამოსაყენებელ მეთოდს, არამედ ინტერესის სფეროს და სავარაუდო მეთოდს, რომლის გამოყენებასაც აპლიკანტი რელევანტურად ჩათვლიდა.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს ეთქვა მაგალითი იმისა თუ რა იგულისხმებოდა სავარაუდო კვლევის მეთოდში.

წარმომადგენელმა მაგალითისათვის დაასახელა ინტერდისციპლინარული მეთოდი.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა, რომ ინტერდისციპლინარული შესაძლოა არსებულიყო თემა, მაგრამ არა მეთოდი.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კვლევის მეთოდი შემდგომში კონკრეტდებოდა. დაწესებულებას 3 წელი სჭირდებოდა იმისათვის, რომ დაედგინა ჰქონდა თუ არა ადამიანს შინაგანი მზაობა გამხდარიყო მკვლევარი.

საბჭოს წევრმა პაატა ბრეკაშვილმა, სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს დაესახელებინათ სამი ძირითადი მეთოდოლოგია, რომლის წარდგენის შემთხვევაშიც აპლიკანტი პროგრამაზე მიღებისას წარმატებულად ჩაითვლებოდა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მსგავსი კონკრეტული მოლოდინები აპლიკანტებისაგან არ არსებობდა.

ექსპერტმა დაამატა, რომ კანდიდატს უბრალოდ მოეთხოვებოდა სცოდნოდა კვლევის რა მეთოდები არსებობდა და ზოგადი წარმოდგენით რომელი იქნებოდა შესაბამისი მისი სამომავლო კვლევისათვის.

საბჭოს წევრმა პაატა ბრეკაშვილმა მიუთითა ექსპერტს, რომ პროგრამის დაცვა მის მოვალეობაში არ შედიოდა. ექსპერტებისაგან საბჭოს აინტერესებდა რჩევები, რეკომენდაციები და საუკეთესო პრაქტიკა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ის მზად იყო მიბრუნებოდა რჩევებისა და რეკომენდაციების ნაწილს. მან თქვა რომ ერთ-ერთი პრობლემა იყო დაკავშირებული სილაბუსებთან და სილაბუსებში თანამედროვე ლიტერატურის მითითებასთან. ის რომ სტუდენტები მასალას იღებდნენ ელექტრონულ ფორმატში, არ ჩანდა სილაბუსები. საუკეთესო პრაქტიკის ნაწილს ეკუთვნოდა მრგვალი მაგიდის პრინციპის არსებობა, რომლის დროსაც დოქტორანტები გამოთქვამდნენ მოსაზრებებს პროგრამის სუსტი და ძლიერი მხარეების შესახებ, რომელთა გათვალისწინებაც პროგრამის განვითარებისათვის ხდებოდა. რეკომენდაცია იყო ინტერდისციპლინარული სემინარის გადატანისა სავალდებულო ბლოკიდან არჩევითში. ამასთანავე შეიძლებოდა იმის თქმაც, რომ შეფასებებთან დაკავშირებით არსებობდა ბუნდოვანება, თუმცა ამასთან დაკავშირებით დაწესებულებას პოზიცია ჰქონდა, რაზეც სურვილის შემთხვევაში ისაუბრებდნენ. დაწესებულებაში მუშაობდა ერაზმუსის პროგრამები, თუმცა სტუდენტები აცხადებდნენ, რომ ჯერ არცერთ სტუდენტს აღნიშნული პროგრამით არ უსარგებლია. კარგი პრაქტიკის მაგალითი იყო ფონდებთან თანამშრომლობა, რაც სტუდენტებს საზღვარგარეთ, მათ შორის ამერიკაში მუშაობის საშუალებას აძლევდა.

წარმომადგენელმა საუბარი დაიწყო კითხვაზე, რომელიც შეეხებოდა 3 წლიანი სტაჟის საკითხს და რომელიც არსებობდა პროგრამის - სახელოვნებათმცოდნეო კვლევების პრერეკვიზიტებში, რაზეც საბჭოს წევრმა გელა გელაშვილმა იკითხა, რატომ იყო საჭირო საუბარი ამ საკითხზე, თუ მოცემული განსახილველი პროგრამის - კულტურის კვლევების - ფარგლებში, როგორც უკვე აღინიშნა მსგავსი მოთხოვნა არ არსებობდა. მოთხოვნა არ არსებობდა თუმცა პროგრამას ჰქონდა იმის საშუალება რომ მსგავსი პრაქტიკა ამ შემთხვევაშიც დანერგილიყო. ინტერდისციპლინარული სემინარის საკითხის ირგვლივ რეკომენდაციას ეთანხმებოდნენ. მან თქვა, რომ სადოქტორო პროგრამა გარდა კლასიკურისა, ეფუძნებოდა მიმდინარე პერსპექტივებს. ინტერნაციონალიზაციის პროცესი დინამიური იყო და სტუდენტები მუშაობდნენ საზღვარგარეთ, თუმცა მოწვევებზე წასვლის საშუალებას ზოგჯერ არ იძლეოდა ფინანსური მდგომარეობა.

საბჭოს წევრმა პაატა ბრეკაშვილმა იკითხა კულტურის როგორი გავლენა ჰქონდა დარგს.

წარმომადგენელმა უპასუხა, რომ კულტურას განმარტავდნენ როგორც პირობით ნიშანთა სისტემას.

საბჭოს წევრმა პაატა ბრეკაშვილმა იკითხა, თუ კვლევის კონცენტრაცია იქნებოდა ქართული იდენტობები, რა შეიძლებოდა ყოფილიყო კვლევის კონკრეტული მიზანი და არსებობდა თუ არა კონკრეტულად ქართული კულტურის დეფინიცია.

წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ქართული კულტურის დეფინიცია წარმოადგენდა ღია თემას. ჰუმანიტარულ სამყაროში ყოველივე დამოკიდებული იყო კვლევის თემასა და მკვლევარის დანახვის უნარზე. მაგალითისათვის, თუ საკვლევად ავიღებდით ოთხთა ეკლესიას, შესაძლოა ინტერიერში მკაფიო ქართული ნიშნები ცალსახად ვერ დაგვეჩვენა და დაგვესვა კითხვა: რა არის ძეგლში ქართული იდენტობის მატარებელი.

საბჭოს წევრი, პაატა ბრეკაშვილი დაინტერესდა, არსებობდა თუ არა ამ ღია თემებში ობიექტური რეალობა და იყო თუ არა დამტკიცებადი, და თუ მტკიცდებოდა, კერძოდ რომელი კვლევის მეთოდით.

წარმომადგენელმა უპასუხა რომ დამტკიცება რეალობისა ხდებოდა კომპლექსური მეთოდით.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა იკითხა არსებობდა თუ არა რაიმე მეთოდოლოგია, რომელიც იკვლევდა და ადგენდა საკვლევო ფენომენის, მაგალითად ქართულ პიროვნულ ნიშან თვისებებს.

წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ასეთი ნიშანი იყო ბევრი და არა ერთი და წარმოდგენილი იყო მათი ერთობლიობის სახით.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა იკითხა ჯდებოდა თუ არა ქართული ნიშანთვისებები 5 დიდ ტაქსანომიაში.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დიდი კულტურის შიგნით შესაძლებელი იყო მცირე კულტურის ჩამოყალიბება. მაგალითისათვის ბიზანტიის ხაზში, რომლის წევრიც იყო ქართული, მაინც იქმნებოდა ნაციონალური იდენტობები.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა, რომ მსგავსი დისკურსი სჭირდებოდა, რათა მისულიყო კითხვამდე, კერძოდ სილაბუსებში ნახსენები იყო რომ ისწავლებოდა თანამედროვე კვლევის მეთოდები, თუმცა არსად კონკრეტდებოდა კერძოდ რა. ამის ფონზე ჩნდებოდა განცდა, რომ კვლევები რჩებოდა აზრებად და არ მყარდებოდა კვლევის მეთოდოლოგიით.

საბჭოს წევრმა ნატო გენგიურმა აღნიშნა, რომ ანალოგიური შენიშვნა ჰქონდა ექსპერტსაც.

წარმომადგენელმა თქვა, რომ აღნიშნული პრობლემა არსებობდა ძველ სილაბუსებში, თუმცა შემდგომ შენიშვნები გათვალისწინებულ იქნა.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა თქვა, რომ საბჭო საკითხებს აფასებდა იმ დოკუმენტაციის და შეფასებების მიხედვით, რომელიც მას წარდგენილი ჰქონდა.

19:13 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

19:42 საათზე სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა ირინე გოცირიძემ. .

სხდომა განახლდა 20:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის კულტურის კვლევების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 4

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის კულტურის კვლევების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭოს გადაწყვეტილება ემყარებოდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. იმ შემთხვევაში თუ კი დაწესებულება ხელახლა შეიტანდა ცენტრში სააკრედიტაციო განაცხადს პროგრამის სამომავლო ფუნქციონირების მიზნით, აუცილებელი იყო გათვალისწინებული ყოფილიყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციები. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დათმობოდა პროგრამის სასწავლო კომპონენტში დოქტორანტებისთვის კულტურის კვლევის მეთოდების სწავლების ხარვეზის გამოსწორებას.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ 20:15 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე

ირაკლი ბურდული



სხდომის მდივანი

ნინო ჩანადირი

